# საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

# ა ქ ტ ი

№ 6/00 „ 2 ” თებერვალი 2012 ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების

სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჯერენაშვილი

„--2- -“----თებერვალი----------“ 2012 წელი

ეგზ. N2

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
საქართველოს 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
შესაბამისობის აუდიტი
(01.01.09 - 01. 01.11)

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი



თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. №96
ტელ.: (+995 32) 438 438; ფაქსი: (+995 32) 438 136;
www.control.ge

## შესავალი

საქართველოს კონტროლის პალატამ, კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 13 მაისის № 36/43 ბრძანების საფუძველზე ჩაატარა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი იყო სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის, საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესწავლა.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა ძირითადად შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, გარდა მივლინებების მუხლში საქართველოს პრეზიდენტის N:231 ბრძანებულებით „მომსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ" განსაზღვრული მოთხოვნებისა.

## ძირითადი ტექსტი

„საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების (2009 წლის 11 ივლისი № 1410) შედეგად აპარატის ასიგნებები (ორგანიზაციული კოდი 21 00) განისაზღვრა 906.0 ათასი ლარით.

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად (2010 წლის 18 ივნისის № 3109-I-ს) აპარატის ასიგნებები (ორგანიზაციული კოდი 21 00) განისაზღვრა 950.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც დაზუსტდა წლის განმავლობაში და შეადგინა 1,306.57 ათასი ლარი.

# საბიუჯეტო ასიგნებები -2009-2010 წლები

(ათას ლარებში)

| დასახელება | დაზუსტებული გეგმა 2009 წ | (საკასო ხარჯი) 2009 წ | ფაქტიური ხარჯი 2009 წ | დაზუსტებული გეგმა 2010 წ | (საკასო ხარჯი) 2010 წ | ფაქტიური ხარჯი 2010 წ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ: | 906.0 | 906.0 | 908.07 | 1 306.57 | 1 306.04 | 1,122.11 |
| **შრომის ანაზღაურება** | 481.20 | 481.20 | 481.20 | 455.20 | 455.20 | 455,20 |
| თანამდებობრივი სარგო | 427.27 | 427.27 | 427.27 | 358.14 | 358.14 | 358.14 |
| პრემია | 53.92 | 53.92 | 53.92 | 97.06 | 97.06 | 97.06 |
| **საქონელი და მომსახურება** | 381.30 | 381.30 | 394.95 | 724.22 | 723.97 | 723.09 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 20.89 | 20.89 | 20.89 | 40.17 | 40.17 | 40.17 |
| მივლინებები | 63.24 | 63.24 | 63.90 | 133.92 | 133.92 | 133.92 |
| ოფისის ხარჯები | 92.32 | 92.32 | 96.84 | 114.07 | 114.06 | 113.68 |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | 77.72 | 77.72 | 77.72 | 158.94 | 158.94 | 158.94 |
| სამედიცინო ხარჯები | | | | 0.4 | 0.4 | 0,4 |
| რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | | | | |
| ტრანსპორტისა, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 72.20 | 72.20 | 80.77 | 71.73 | 71.49 | 71.49 |
| სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 54.94 | 54.94 | 54.84 | 204.98 | 204.98 | 204.48 |
| **ძირითადი კაპიტალის მოხმარება** | - | - | 31.9 | | - | 32.65 |
| **სოციალური უზრუნველყოფა** | | | | 5.44 | 5.44 | 5.44 |
| ფულადი ფორმით | | | | 5.44 | 5.44 | 5.44 |
| **სხვა ხარჯები** | | | | 5.73 | 5.73 | 5.73 |
| მიმდინარე | | | | 5.73 | 5.73 | 5.73 |
| **სულ არაფინანსური აქტივების ზრდა** | 43.50 | 43.50 | | 115.98 | 115.70 | |
| **მანქანა-დანადგარები** | | 9.89 | | | 67.57 | |
| სატრანსპორტო საშუალებები | | 0.75 | | | 58.35 | |
| სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | | 9.14 | | | 9.22 | |
| **სხვა ძირითადი აქტივები** | | 33.61 | | | 48.12 | |
| არამატერიალური ძირითადი აქტივები | | 33.61 | | | 48.12 | |

## მივლინებები

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მივლინების ხარჯებმა 2009-2010 წლებში შეადგინა შესაბამისად 63.2 ათასი ლარი და 133.9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხებიდან ანგარიშვალდებულ პირებზე 2009-2010 წლებში ზედმეტად ანაზღაურებულია შესაბამისად 1270 ლარი და 338 ლარი. სამივლინებო თანხების გაანგარიშებისას აპარატის მიერ არ ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის N:231 ბრძანებულებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინება, რის გამოც აპარატის მიერ ანგარიშვალდებულ პირებზე ზედმეტად ანაზღაურდა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, წარმომადგენლობითი ხარჯები და ასევე მოხდა იმ დღეების ხარჯების ანაზღაურება, რომელიც არ იყო განსაზღვრული მივლინების ბრძანებით, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეები ნაკლები იყო ბრძანებით განსაზღვრულ დღეებზე, ანაზღაურება მოხდა ბრძანებით გათვალისწინებული დღეების მიხედვით.

2009 წელს: 30 ივნისის N:01-05/4 ბრძანების შესაბამისად თურქეთის რესპუბლიკაში მივლინებულ თანამშრომლებს ზედმეტად აუნაზღაურდათ მივლინების დღიური ხარჯი 599 ლარის ოდენობით. 9 მარტის N:05/3-4 ბრძანების შესაბამისად ესპანეთში მივლინებულ თანამშრომელს, ზედმეტად აუნაზღაურდა წარმომადგენლობითი ხარჯი 360 ლარი და ტრასპორტის ხარჯი 163 ლარი. 11 სექტემბრის N:01-05/38 და 6 ოქტომბრის N:01-05/42 ბრძანებების შესაბამისად ქვეყნის შიგნით მივლინებულ თანამშრომელს ზედმეტად აუნაზღაურდა დანამატი 148 ლარის ოდენობით.

2010 წელს: 13 აპრილის N:01-05/10 ბრძანების შესაბამისად უცხოეთში მივლინებულ თანამშრომელს ზედმეტად აუნაზღაურდა კავშირგაბმულობის ხარჯი 227 ლარის ოდენობით. 13 დეკემბრის N:01-05/49 შესაბამისად უკრაინაში მივლინებულ თანამშრომელს ზედმეტად აუნაზღაურდა დღიური ხარჯი 111 ლარის ოდენობით.

## ოფისის ხარჯები

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფისის ხარჯებმა 2009-2010 წლებში შეადგინა შესაბამისად 92.32 ათასი ლარი და 114.07 ათასი ლარი. საიდანაც კავშირგაბმულობის ხარჯი შესაბამისად შეადგენს 37.38 ათას ლარს და 35.0 ათას ლარს.

2009 წელს მინისტრის ბრძანებით ტელეფონით სარგებლობით დაწესებული ლიმიტს ზემოთ ხარჯვამ შეადგინა 7. 3 ათასი ლარი.

ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის აღნიშნული მუხლით ხარჯებმა 2009-2010 წლებში შეადგინა შესაბამისად 72.2 ათასი ლარი და 71.5 ათასი ლარი. საიდანაც საწვავის ხარჯი შესაბამისად შეადგენს 45.7 ათას ლარს და 47.1 ათას ლარს. 2009 წელს მინისტრის ბრძანებით საწვავის სარგებლობით დაწესებული ლიმიტს ზემოთ ხარჯვამ შეადგინა 8700 ლიტრი (22.3 ათასი ლარი).

სარეზერვო ფონდები

სახელმწიფო მინისტრის აპარატის სხვადასხვა ღონისძიებების დაფანინასება 2010 წელს ხდებოდა სარეზერვო ფონდებიდან. პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილია შესაბამისად 213.0 ათასი ლარი და 143.6 ათასი ლარი. საკასო ხარჯი შეადგენს 212.8 ათას ლარს და 140.0 ათას ლარს. (იხ. ცხრილი)

| № | გამოყოფილი ასიგნებების მიზანი | დოკუმენტის ნომერი და თარიღი | ასიგნება, თანხა | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სვეტიცხოვლის აღდგენის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი XII საერთა-შორისო ფესტივალის „ჩვენებურების" ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით | განკარგულება N962 06.10.2010წ. | 40,000.00 | 39,753.00 |
| 2 | ლევილის ადგილ-მამულისა და ქართველ-თა სასაფლაოსთან დაკავშირებული სა-კითხების გადაწყვეტისათვის საჭირო ხარ-ჯების დაფინანსების მიზნით | განკარგულება N1005 22.10.2010წ. | 38,000.00 | 38,000.00 |
| 4 | ქალაქებში: ბაქო, მინსკი, ოდესასა და დონეცკში ვახტანგ კიკაბიძის მიერ გასამართი კონცერტების ორგანიზებისათ-ვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით | განკარგულება №1053 11.11.10წ. | 135,000.00 | 135,000.00 |
| | სულ | | 213,000.00 | 212,753.00 |

მთავრობის სარეზერვო ფონდი - 2010 წ.

| № | გამოყოფილი ასიგნებების მიზანი | დოკუმენტის ნომერი და თარიღი | ასიგნება, თანხა | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|---|
| 1 | სოციალური ქსელის პროექტის დაფინანსების მიზნით | საქართველოს პრემიერ-მინისტრის გრძანება N70 12.03.2010წ. | 49,000.00 | 48,720.00 |
| 2 | ქართული ექსპედიციის თურქეთის რეს-პუბლიკაში ვიზიტის ხარჯების დაფინანსების მიზნით | საქართველოს პრემიერ-მინისტრის გრძანება N272 30.07.2010წ. | 9,570.00 | 9,570.00 |
| 3 | ბიზნეს-ფორუმის ჩატარების ხარჯების დაფინანსების მიზნით | საქართველოს პრემიერ-მინისტრის გრძანება N320 20.09.2010წ. | 35,000.00 | 35,000.00 |
| 4 | დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის გამართულად ფუნქციონირებისათვის | საქართველოს პრემიერ-მინისტრის გრძანება N364 03.11.2010წ. | 50,000.00 | 46,671.17 |
| | სულ | | 143,570.00 | 139,961.17 |

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 3 ნოემბრის N:364 გრძანებით, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატს გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით გამოეყო 50 000 ლარი საიდანაც ათვისებულია 46 671 ლარი. (18 768 ლარი - მივლინების ხარჯი, 10228 ლარი - საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯი, 3 404 ლარი - საკანცელარიო საქონელი, 1 927 ლარის - ავტოტექმომსახურებისათვის გაწეული ხარჯი, 1 210 ლარი - ელექტრომრიცხველები, 3 920 ლარი - კომპიუტერული ტექნიკა, 3 610 ლარი - მონობარათები, 940 ლარი - ბლანკები და სავიზიტო ბარათები და 5 664 ლარი - სხვადასხვა საქონელი და მომსახურება).

სარეზერვო ფონდებიდან დამატებითი თანხის მოთხოვნის მიზეზი იყო წლის განმავლობაში აპარატის ასიგნებებიდან დაუგეგმავი ხარჯების გაწევა. ამ შემთხვევაში არ იყო დეტალურად გაანგარიშებული თუ რატომ თხოვდა ობიექტი მთავრობას სარეზერვო ფონდებიდან ზუსტად 50000 ლარის ასიგნებებში დამატებას. თანხა იყო მხოლოდ მოთხოვნილი ზოგადად აპარატის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

**რეკომენდაცია - დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა:**

- ვინაიდან აპარატში არ არსებობს შიდა აუდიტის სამსახური, ასევე კანონიც შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ არ ავალდებულებს სახელმწიფო მინისტრის აპარატს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის შექმნას, აუდიტის ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია აპარატში შეიქმნას შიდა კონტროლის მექანიზმი, დაევალოს აპარატის თანამშრომელს განახორციელოს შიდა კონტროლების მონიტორინგი, განესაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებლობა სამუშაო აღწერილობით, რაც უზრუნველყოფს მინისტრის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში ხარჯების გაწევას, კანონებით და ბრძანებებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.
- სარეზერვო ფონდებიდან სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად თანხის მოთხოვნამდე, აუდიტის ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აპარატმა აწარმოოს ღონისძიებების დეტალური დაგეგმვა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვებით, რითაც მოხდება სარეზერვო ფონდებიდან მოთხოვნილი თანხების დასაბუთება.

**აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი**

საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტის მე-15 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი „უფლებამოსილია აუდიტის აქტის თაობაზე წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები აქტის გადაცემიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წარუდგინოს საქართველოს კონტროლის პალატას".

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ნინო ამირანაშვილი

პაპუნა ხოფერია